აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა

საინფორმაციო ბიულეტენი N40

ნოემბერი, 2023

აჭარის კომუნალური საწარმოების გაძლიერება FIDIC-ის ტრენინგების მეშვეობით

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში, აჭარის 39 სოფელსა და დაბებში წყალმომარაგების და წყალარინების თანამედროვე ინფრასტრუქტურა იქმნება. სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, მოსახლეობა ისარგებლებს 24-საათიანი უწყვეტი წყალმომარაგებით და გამართული ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სს „აჭარის წყლის ალიანსის“ და ახლადშექმნილი მუნიციპალური საწარმოების ტექნიკური ჯგუფების ტრენინგი და მათი შესაძლებლობების გაძლიერება. ეს მოიცავს ტრენინგებს კონტრაქტის მართვაში FIDIC-ის (კონსულტანტ ინჟინერთა საერთაშორისო ფედერაცია) სტანდარტების საფუძველზე. ტრენინგები უკვე ხორციელდება. ტრენინგი, არაერთხელ ჩატარდა სს „აჭარის წყლის ალიანსის“, მუნიციპალური კომუნალური საწარმოებისა და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებისთვის. ტრენინგები ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ასპექტებს.

კონსულტანტ ინჟინერთა საერთაშორისო ფედერაცია - FIDIC წარმოადგენს საერთაშორისო სტანდარტების ორგანიზაციას სამშენებლო ტექნოლოგიებისა და საკონსულტაციო საინჟინრო სამუშაოების მიმართულებით. ამ ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპებით შექმნილი კონტრაქტები წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ საფუძველს ნებისმიერი საინჟინრო ან სამშენებლო პროექტისთვის, რაც აუმჯობესებს კონტრაქტის მართვის პროცესს. FIDIC-ის კონტრაქტებმა გაუძლო დროის გამოცდას და მას ენდობიან მთელ მსოფლიოში როლების, პასუხისმგებლობების და რისკების მართვის სათანადოდ გადანაწილების გამო.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ

აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა თანადაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, KfW ბანკის მეშვეობით და ევროკავშირის მიერ.
პროგრამა მიზნად ისახავს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნას თანამედროვე სტანდარტების წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას სს „აჭარის წყლის ალიანსი“ ახორციელებს.
პროგრამა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის, ზოგადი ჰიგიენისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში. პროგრამა უზრუნველყოფს გარემოს დაცვას ჩამდინარე წყლებით დაბინძურების თავიდან არიდების გზით. ასევე, თავიდან იქნება არიდებული ნიადაგისა და წყლის რესურსების დაბინძურება გაუწმენდავი ჩამდინარე წყლების ჩაშვებით.
აჭარის დაბებისა და სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამა, თვისებრივად პირველია საქართველოში რომელიც წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის განვითარების ორგანიზებას ახდენს რეგიონის სოფლებში.

ეს საინფორმაციო ბიულეტენი შექმნილია ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სს “აჭარის წყლის ალიანსი” და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკის შეხედულებებს.

კ. გამსახურდიას ქ. N1, ბათუმი, საქართველო
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge

AJARA RURAL WATER AND WASTEWATER PROGRAMME

NEWSLETTER N40

November, 2023

Strengthening Ajara's Communal Utilities Through FIDIC Training

Within the framework of the Ajara Rural Water and Wastewater Treatment Program, modern water supply and wastewater infrastructure are being developed in 39 villages and all semi-urban areas of Rural Ajara. Upon the completion of the rehabilitation works, the population will benefit from a 24-hour continuous water supply and well-maintained wastewater infrastructure.

As a part of the Program, training, and capacity strengthening of the technical teams of the JSC "Ajara Water Alliance" and the newly established municipal utilities are provided. This includes training in contract management based on FIDIC (International Federation of Consulting Engineers) standards. The training is currently underway. Training Workshops for officers of AWA, municipal utilities, and representatives of the Ministry of Finance and Economy of Ajara have been conducted multiple times, covering both theoretical and practical aspects.

The International Federation of Consulting Engineers (FIDIC) is an organization that sets international standards in construction technologies and consulting engineering works. Contracts under FIDIC's guidelines are internationally recognized as a solid foundation for any engineering or construction project, improving the overall contract management process. FIDIC contracts have stood the test of time and are trusted worldwide for their proper allocation of roles, responsibilities, and effective risk management

GENERAL INFORMATION ABOUT THE PROGRAMME

"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is co-financed by the German Federal Republic Government through the KfW Development Bank and by the European Union.
The Programme aims to create modern standard water supply and wastewater treatment systems in all municipalities of Ajara.
"Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is being implemented by the JSC "Ajara Water Alliance".
The mentioned Programme will have an essential contribution to the improvement of the level of life, health and the hygiene in general for the citizens of the villages in Ajara as the Programme will keep the environment safe through avoiding contamination and pollution of the environment and water bodies by directly discharged effluent.
The content of the Programme "Rural Water Supply and Wastewater Programme-Ajara" is unique in Georgia with its potential to influence the water supply and wastewater infrastructure development in the villages of the region.

This newsletter has been produced with the assistance of the European Union and KfW Development Bank. Its contents are the sole responsibility of Ajara Water Alliance JSC and do not necessarily reflect the views of the European Union and KfW Development Bank.

1, K. Gamsakhurdia str., Batumi, Georgia
+995 422 27 86 86
info@awa.ge
www.awa.ge